

## საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ.421) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 42<sup>10</sup> მუხლი:

**„მუხლი 42<sup>10</sup>. გენდერული თანასწორობის დარღვევა შრომითი ურთიერთობისას**

დამსაქმებლის მიერ შრომითი ურთიერთობისას გენდერული თანასწორობის დარღვევა, ან შრომითი ურთიერთობისას სქესის ნიშნით შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი და ღირსების შემლახველი მოპყრობა, ან დასაქმებაზე უარი პირის სქესის ნიშნის გათვალისწინებით, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 800 ლარამდე;

იგივე ქმედება ჩადენილი ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში,

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 1200 ლარამდე.“

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 173<sup>12</sup> მუხლი:

**„მუხლი 173<sup>12</sup>. გენდერული თანასწორობის დარღვევა**

1. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გენდერული თანასწორობის მოთხოვნის შეუსრულებლობა ან/და დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 800 ლარამდე;

იგივე ქმედება ჩადენილი ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში,

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 1200 ლარამდე.“

2. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 208. რაიონის (ქალაქის) სასამართლოების განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები**

რაიონის (ქალაქის) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42<sup>1</sup>, 42<sup>2</sup> და 42<sup>10</sup> მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 44-ე-44<sup>3</sup>, 44<sup>5</sup>, 44<sup>6</sup>, 45-ე-56-ე, 57-ე-69-ე, 71-ე-78-ე, 79<sup>1</sup>-82<sup>1</sup>, 84-ე-86-ე, 88-ე-89<sup>3</sup>, 90-ე-91<sup>2</sup>, 92<sup>2</sup>, 94-ე-100<sup>2</sup>, 103-ე-105<sup>1</sup>, 125<sup>1</sup>, 128<sup>1</sup>, 128<sup>2</sup>, 143-ე-144<sup>1</sup>, 144<sup>3</sup>-144<sup>5</sup>, 145-ე, 146<sup>1</sup>, 148-ე-152-ე, 152<sup>2</sup>-154<sup>2</sup>, 155<sup>1</sup>-156-ე, 157<sup>1</sup>-158<sup>1</sup>, 159-ე-159<sup>9</sup>, 163-ე, 164-ე, 164<sup>4</sup>, 165<sup>1</sup>-165<sup>3</sup>, 166-ე, 167-ე, 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171<sup>1</sup>, 173<sup>4</sup>, 173<sup>10</sup>, 173<sup>11</sup>, 173<sup>12</sup>, 174<sup>1</sup>, 174<sup>5</sup>, 174<sup>8</sup>-174<sup>14</sup>, 177<sup>8</sup>-178-ე, 179<sup>1</sup>-183-ე, 187-ე-187<sup>2</sup>, 189-ე, 191-ე (გარდა 191-ე მუხლის პირველი და 1<sup>1</sup> ნაწილებისა), 192-ე, 195-ე, 196<sup>2</sup>-196<sup>6</sup>, 197<sup>1</sup> მუხლებით.“

3. 239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-60-ე ნაწილი:

„60. ამ კოდექსის 42<sup>10</sup> და 173<sup>12</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს სახალხო დამცველი და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის სათანადოდ უფლებამოსილი პირი.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი